

ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული
გარემოსდაცვითი შეფასების
საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

| | |
|------------------------------------|---|
| შეხვედრის ადგილი | ქალაქი წყალტუბო მის: რუსთაველის ქ. N25 |
| შეხვედრის თარიღი | 14/11/2022 წ. |
| შეხვედრის დაწყების დრო | 13:00 სთ. |
| შეხვედრის დასრულების დრო | 15:30 სთ. |
| ლონისძიების დამგეგმავი ორგანო | სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო |
| დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები | სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი იოანე მენაბდე სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე ნინო გვენცაძე სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ წიკლაური სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: გიორგი კერესელიძე, კახაბერ ნიაური. |

პროექტის პრეზენტაციებს უძღვებოდნენ:

მიშა ბალიაშვილი

შპს „ბაუ დიზაინი“-ს დირექტორი,
არქიტექტორი/ქალაქმგებმარეხელი

მარკო არდიელი

„არდიელ ფორნაზა ასოტიავტი“-ს
არქიტექტორი/ქალაქმგებმარეხელი

კახა ზახტაძე

პროექტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი
რესურსების მართვის სპეციალისტი

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები:

- სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი - **იოანე მენაბდე**;
- სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე - **ნინო გვენცაძე**;
- სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - **ზურაბ წიკლაური**;
- სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების და საერთაშორისო პროგრამების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები - **გიორგი კერესელიძე, კახაბერ ნიაური**;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს - სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი - **ზურაბ წიქვაძე**;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს - სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის გაყიდვების სამსახურის უფროსი - **სოფიო ჭელიძე**;
- საქართველოს ეკონომიკისა მდგრადი განვითარების სამინისტროს - საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების მხარდაჭერის დეპარტამენტის კონსულტანტი - **დავით ხაბეიშვილი**;
- სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს - ძეგლთა რეაბილიტაციის, ნებართვებისა და ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მოადგილე - **ირინე საბაშვილი**;
- სსიპ - სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის უფროსი - **მერაბ ჩალათაშვილი**;
- სსიპ - სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ჰიდროგეოლოგი) - **ანა ქემოკლიძე**;
- სსიპ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო - **მარიამ კოროშინაძე**;
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სტრატეგიული შეფასების სამმართველოს უფროსი- **სალომე დვალი**;
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სტრატეგიული შეფასების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - **ნინო კოსიაშვილი**;
- შპს -“საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია” - **ედიშერ გედენიძე, დავით პაიკიძე**;
- სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი - **ნინო ბუაძე, ქეთევან ზარიძე**;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო - **დავით აბულაძე**;

იმერეთის გუბერნატორის მოადგილე - ბესო გოფომე;

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - გენადი ბალანჩივაძე;

ქალაქ წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე - თეიმურაზ ჭეიშვილი;

განხილვას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა, დაინტერესებული პირები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი ანგარიშის საჯარო განხილვის საფუძველი:

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, მუხლი 27 - „სგმ-ს ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა“

განხილვის მიზანი:

- *სტრატეგიული გარემოსდაცვითი დოკუმენტის საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;*
- *საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;*
- *შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა;*
- *შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება;*

საჯარო განხილვის მსველობა

საჯარო განხილვა დაიწყო დათქმულ დროზე (13:00 სთ). გახსნითი სიტყვა წარმოთქვა: სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსმა იოანე მენაბდემ. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო ქ. წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავების მნიშვნელოვნება, რაც ხელს შეუწყობს ქ. წყალტუბოს პოტენციალის გამოვლენასა და მისი სახელის საერთაშორისო ტურიზმის რუკაზე კუთვნილი ადგილის დაკავებას. ასევე აღნიშნა დოკუმენტაციის საჯარო განხილვაში მოსახლეობის მაღალი ჩართულობა.

მიშა ბალიაშვილმა, კახა ბახტამემ, და მარკო არდიელმა წარმოადგინეს კონცეფცია რომელზე დაყრდნობითაც დამუშავდა ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმა, გენგეგმის ფარგლებში შემუშავებული განვითარების ხედვები და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ პრეზენტაციები.

კახა ბახტამემ ისაუბრა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიასა/ეტაპებზე და პრეზენტაცია წამოადგინა სამ ეტაპად:

პირველი ნაწილი მოიცავდა საბაზისო კვლევების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული იყო დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა წყალტუბოს ცენტრალური პარკის დატბორვის რუკა, განხილული იყო წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის მცენარეული საფარის დეტალური კვლევის შედეგები და ასევე დაბინძურების კვლევა, რომელიც მოიცავდა ნიადაგის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის და ჰაერის ხარისხის შეფასებებს და შესაბამისი ზემოქმედების ანალიზს ბუნებრივ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

პრეზენტაციის მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო განაშენიანების გეგმის მიხედვით წარმოდგენილი ხედვების შესაძლო ზემოქმედების შეფასება ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე.

ხოლო მესამე ნაწილში განხილული იყო შემარბილებელი მიდგომები და ღონისძიებები რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს განაშენიანების გეგმაში წარმოდგენილი ხედვების განხორციელების შემთხვევაში.

პრეზენტაციის ფარგლებში შპს „ბაუ დიზაინ“-ის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:

- ქ. წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავების მიზნები;
- სგშ-ს ანგარიშის საკანონმდებლო საფუძველი;
- შესწავლილი კომპონენტები (ფიზიკური და სოციალური გარემო).

- სტრატეგიული გეგმარებითი დოკუმენტის კონცეფციის და განვითარების ხედვების აღწერა;
- ქ. წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის ურბანული განვითარების ხედვა და ძირითადი პრინციპები;
- ქ. წყალტუბო - წყალი როგორც აქტივი;
- ქ. წყალტუბო - საცხოვრებლად მიმზიდველი ადგილი;
- ქ. წყალტუბო - ადგილის ისტორია;
- ქ. წყალტუბო - საერთაშორისო როლი;
- ქ. წყალტუბო - საპროექტო გეგმარებითი ერთეულების აღწერა:
 - საპროექტო კლასტერის ტერიტორია;
 - ტბის მიმდებარე სარეზერვო ტერიტორია;
 - ყოფილი „უშიშროების“ სანატორიუმი;
 - სანატორიუმი მეგობრობის ტერიტორია;
 - აკვაპარკის ტერიტორია;
 - საღონისძიებო კომპლექსის ტერიტორია;
 - ავტოსადგომების ტერიტორია;
 - სამხრეთის პარკის ტერიტორია;
 - „აუთლეთ სოფელი“ და მიმდებარე ტერიტორია;
 - სანატორიუმ „იმერეთი“-ს და „სინათლე“- ს ტერიტორია;

კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სტრატეგიული დოკუმენტის საჯარო გახილვა გადავიდა ე.წ. კითხვა პასუხის რეჟიმზე. კითხვებს, შენიშვნებს, მოსაზრებებსა და ინიციატივებს წარმოადგენდნენ როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ადგილობრივი მოსახლების წარმომადგენლები და საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული პირები.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და დადებითად შეაფასეს სგშ-ში წარმოდგენილი საკითხები. ასევე, აღნიშნეს რომ დაახლოებით 2 კვირაში ელექტრონულად მოხდება პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების მიღება, ხოლო თვის ბოლოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დაიწყება რეკომენდაციების გაცემა.

შემსრულებელი

თეკლე საკანდელიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ნინო გვენცაძე

14.11/2022

